დამტკიცებულია:
რექტორი /ოსეფ კაჭახიძე/
16.05 2016 წელი

შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლა“

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

თავი1. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა:

პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება (ECTS) – ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემას (შემდგომში – საკრედიტო სისტემა). მისი დანიშნულებაა აკადემიური დატვირთვის ასახვა, რომელიც სტუდენტს ესაჭიროება სასწავლო მიზნების მისაღწევად.

პროფესიული სტუდენტის საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას), გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში;

კრედიტის განაწილება ხდება პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს (სასწავლო კურსები/მოდულები/საწარმოო პრაქტიკა) შორის;

სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დასწრებას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო, და საწარმოო პრაქტიკას;
- ლიტერატურის გაცნობას და ბიბლიოთეკაში მუშაობას;
- გამოცდების ჩაბარებას;

ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტურ დატვირთვას) 25 ასრტონომიული საათის განმავლობაში;

თავი 2. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.